სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
78441666835723

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230811762

რეგისტრაციის თარიღი

20.06.2023 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის ოც ივნისს, მე, ნოტარიუს ია ყიფიანის, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 68-ში მომმართა ბატონმა **გივი ნემსაძემ** (დაბ. 28.11.1984 წელს, პირადი № 60001053842, რეგისტრირებული თბილისი დიდი დიღომი გიორგი ბრწყინვალეს ქ. N 28 ბ. 34).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "პეტრა სი რეზორტ"-ის (ს/კ 404644765) შესახებ მომზადების თარიღი 29/05/2023 15:49:11 წელს, რეგისტრაციის № B23075021, როგორც ამ საზოგადოების დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **კახა ინწიკიანს** (დაბ. 10.04.1994 წელს, პირადი № 01027085145, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 13, ბინა 15). მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის ოც ივნისს, ბატონმა **გივი ნემსაძემ** (დაბ. 28.11.1984 წელს, პირადი № 60001053842, რეგისტრირებული თბილისი დიდი დიღომი გიორგი ბრწყინვალეს ქ. N 28 ბ. 34), როგორც შპს "პეტრა სი რეზორტ"-ის (ს/კ 404644765) დირექტორმა - შემდგომში "მიმნდობი პირი" ბატონ **კახა ინწიკიანს** (დაბ. 10.04.1994 წელს, პირადი № 01027085145, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 13, ბინა 15) - შემდგომში "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, თბილისის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერიაში, ყველა საჯარო ინსტანციაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებებში უძრავ ქონებასთან მდებარე: ქალაქი თბილისი, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა, N 7 (საკადასტრო კოდი 01.14.11.018.020.01.03.002) დაკავშირებით შეიტანოს ნებისმიერი სახის განაცხადი, ატვირთოს ელექტრონულ საიტზე, მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით ნებისმიერი სახის განცხადების შეტანა/საიტზე ატვირთვა, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე მოახდინოს საზღვრების ცვლილების მოთხოვნა და რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის ცვლილების მოპოვების მიზნით ნებისმიერი სახის განცხადების შეტანა, წარადგინოს და გამოითხოვოს/მიიღოს ნებისმიერი ხასიათისა და შინაარსის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, შეასრულოს ყველა ქმედება და პროცედურა, რაც განსაზღვრელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განსახორციელებლად.

მინიჭებული უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით, უძრავი ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

მინდობილობა ხელმოწერილი და დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე – 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, ჯამში: 40.40 ლარი

გივი ნემსაძე ---------- ია ყიფიანი ----------

ნოტარიუსი ია ყიფიანი